შიდა საუნივერსიტეტო კვლევების საგრანტო დაფინანსება

უნივერსიტეტის კვლევით დეპარტამენტში მოქმედი შიდა საუნივერსიტეტო კვლევების საგრანტო დაფინანსების პროგრამის ფარგლებში საუნივერსიტეტო სკოლების წარმომადგენლებს წელიწადში ორჯერ შეუძლიათ წარმოადგინონ სამეცნიერო კვლევითი პროექტები და კონკურსის საფუძველზე კვლევის განსახორციელებლად დაფინანსება მოითხოვონ. წარდგენილ პროექტებს განიხილავს დეპარტამენტის სამეცნიერო საბჭო. თითოეული წარმოდგენილი პროექტის შემთხვევაში ინსტიტუტის კვლევითი დეპარტამენტიდან მოთხოვნილი თანხა შეადგენს 7000-9000 ლარს. გამონაკლის შემთხვევებში დასაშვებია ბიუჯეტის გაზრდა, პროექტის მასშტაბურობისა და მნიშვნელობის გათვალისწინებით (შესაძლებელია სამეცნიერო რედაქტორისთვის დამატებით 1000 ლარის ჰონორარის გამოყოფა). საბჭო განიხილავს თანადაფინანსების მიზნით წარდგენილ პროექტებსაც. პროექტის თემატიკა უნდა შეესაბამებოდეს ინსტიტუტის ძირითად სასწავლო და სამეცნიერო მიმართულებებს და აუცილებელი პირობის სახით გულისხმობს მასში სტუდენტების, პირველ რიგში დოქტორანტების, და ასევე მაგისტრანტებისა და ბაკალავრების მონაწილეობას.

1. პროექტის წარდგენის პირობები:

1.1. პროექტის თემატიკა უნდა შეესაბამებოდეს ინსტიტუტის ძირითად სასწავლო და სამეცნიერო მიმართულებებს. უპირატესობა მიენიჭებათ ინტერდისციპლინური ხასიათის პროექტებს.

1.2. პროექტში მონაწილეობა შეუძლია ფაკულტეტის აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალს, პროფესორ-მასწავლებლებს, მოწვეულ პედაგოგებს და სტუდენტებს. თუმცა, პროექტის ხელმძღვანელი საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის აფილირებული აკადემიური პერსონალის წარმომადგენელი უნდა იყოს.

1.3. პროექტის ხანგრძლივობა განისაზღვრება მაქსიმუმ 12 თვით. *კვლევის შედეგების საჯარო განხილვა/დებატები უნდა განხორციელდეს პროექტის დასრულებისთანავე, რათა უზრუნველყოფილი იყოს პოტენციური კითხვებისა და გამოთქმული მოსაზრებების/კომენტარების ინტეგრირება საბოლოო პუბლიკაციაში ან კონფერენციაზე მის წარდგენამდე.*

1.4. პროექტის დასრულებიდან მაქსიმუმ 12 თვის განმავლობაში პროექტის მონაწილეებმა უნდა უზრუნველყონ კვლევის შედეგების წარდგენა (თუ პროექტის პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული) პროექტში აღწერილი აქტივობების შესაბამისად. კვლევის შედეგების გავრცელების ფორმები პრიორიტეტების მიხედვით განისაზღვრება შემდეგნაირად: 1.3.1. *კვლევის განხორციელების შედეგად მომზადებული პუბლიკაცია ადგილობრივ ან საერთაშორისო რეფერირებად სამეცნიერო ჟურნალში (მინიმუმ მიიღება სამეცნიერო ჟურნალში წარდგენის დამადასტურებლების სახით) ან კვლევის წარდგენა ადგილობრივ ან საერთაშორისო კონფერენციაზე;*

2. პროექტები წარმოდგენილი უნდა იყოს საპროექტო განაცხადის ფორმისა და შესაბამისი დანართების სახით.

2.1. პროექტის დაფორმატება: საპროექტო წინადადება უნდა იყოს წარმოდგენილი ქართულ ან ინგლისურ ენაზე, შრიფტით Sylfaen, ზომა 12, ინტერვალი 1,5, ველი სტანდარტული (1 პუნქტი, ანუ 2.54 სმ. ზემოთ, ქვემოთ, მარჯვნივ და მარცხნივ).

2.2. დანართის სახით საპროექტო განაცხადს თან უნდა ერთვოდეს: დანართი # 1- პროექტის განხორციელების გეგმა; დანართი # 2 - პროექტის ბიუჯეტი; დანართი # 3 - ბიოგრაფიული მონაცემები

- *მოიცავს პროექტში ჩართული თითოეული მონაწილის შესახებ დეტალურ ბიოგრაფიულ მონაცემებს (CV)* და სხვა საპროექტო დოკუმენტაცია პროექტის წარმდგენ მკვლევართა ჯგუფის გადაწყვეტილებით (არაა სავალდებულო).

2.12. კვლევითი პროექტის ბიუჯეტი

პროექტის ბიუჯეტი: საბჭო განიხილავს პროექტებს, რომლებიც წარდგენილია დაფინანსებისათვის როგორც მხოლოდ ინსტიტუტის კვლევითი ცენტრის ფარგლებში, ასევე თანადაფინანსებაზე. პროექტის განხორციელებისათვის ინსტიტუტის კვლევითი ცენტრიდან მოთხოვნილი თანხა განისაზღვრება 5000-7000 ლარით. გამონაკლის შემთხვევებში საბჭო იტოვებს უფლებას განიხილოს უფრო მსხვილბიუჯეტიანი პროექტები. თუმცა, შესაძლებელია სამეცნიერო რედაქტორის პროექტში ინტეგრირება საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა აკადემიური პერსონალიდან. თუმცა, მისი ჰონორარი არ უნდა აღემატებოდეს 1000 ლარს.

წარდგენის ფორმა: პროექტის ბიუჯეტი წარმოდგენილი უნდა იყოს დანართის #2 შესაბამისად.

სახელფასო ანაზღაურების განაკვეთი: პროექტის მონაწილე აკადემიური, ადმინისტრაციული და სხვა პერსონალის ჯამური ანაზღაურება არ უნდა აღემატებოდეს პროექტის ბიუჯეტის 40%-ს.

პროექტის ფარგლებში შეძენილი ქონების იდენტიფიციკაცია: პროექტის ფარგლებში შეძენილი ინვენტარი და ლიტერატურა პროექტის დასრულების შემდეგ გადადის ინსტიტუტის ბალანსზე.

2.15. ანგარიშგება და მონიტორინგი

პროექტის განხორციელების მონიტორინგი: პროექტის განხორციელების მონიტორინგის მიზნით საპროექტო ჯგუფი კვლევითი დეპარტამენტის ხელმძღვანელს წარუდგენს ელექტრონული სახით შესრულებულ შუალედურ და საბოლოო ანგარიშს პროექტში აღწერილი ვადებისა და შესრულების კრიტერიუმების გათვალისწინებით. პროექტის ინტერდისციპლინური ხასიათი / ინსტიტუტის სკოლებს შორის თანამშრომლობის შესაძლებლობა მხედველობაში მიიღება როგორც დამატებითი მხარდასაჭერი ფაქტორი.

3. პროექტის შეფასების კრიტერიუმები

წარდგენილი პროექტის სამეცნიერო და პრაქტიკული ღირებულება	15%
კვლევითი საკითხის აქტუალობა/სიახლე/პრობლემურობა	15%
კვლევითი პროექტის მეთოდოლოგიური გამართულობა	20%
ინსტიტუტის სასწავლო პროგრამების (საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო) სტუდენტების ჩართულობა პროექტის განხორციელების პროცესში	30%
პროექტის ბიუჯეტის შესაბამისობა კვლევის მიზნებსა და ამოცანებთან / პროექტის ხარჯ-ეფექტურობა	20%
სულ	100%

შიდა საუნივერსიტეტო კვლევების საგრანტო დაფინანსება

საპროექტო განაცხადის ფორმა[1]

ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

პროექტის სახელწოდება ქართულად	
პროექტის სახელწოდება ინგლისურად	
დეპარტამენტიდან მოთხოვნილი თანხა (ლარი)	
თანადაფინანსება[2] (ლარი) (ასეთის არსებობის შემთხვევაში)	
პროექტის საერთო ბიუჯეტი (ლარი)	
წარმდგენი სკოლა/სკოლები	
პროექტის ხელმძღვანელი (სახელი, გვარი, აკადემიური ხარისხი და კვალიფიკაცია) *თითოეული მონაწილის შესახებ დეტალური ბიოგრაფიული მონაცემები (CV) წარმოდგენილი იქნება პროექტის დანართში # 3*	
პროექტის მონაწილეები (სახელები და გვარები, აკადემიური ხარისხი და კვალიფიკაცია) *თითოეული მონაწილის შესახებ დეტალური ბიოგრაფიული მონაცემები (CV) წარმოდგენილი იქნება პროექტის დანართში # 3*	
პროექტის მონაწილე სტუდენტები (საფეხური, რაოდენობა)	
განხორციელების ვადები (დასაწყისი - დასასრული)	

აბსტრაქტი

(სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა - 400 სიტყვა.)

საკვანძო სიტყვები

(5 სიტყვა, მაგალითად, მიგრაცია, ეკოლოგია, სოციალური რეკლამა)

1. სამეცნიერო-კვლევითი პროექტის აღწერა

კვლევითი თემის/საკითხის აქტუალობა, კვლევის სიახლე, პრობლემის ფორმულირება (კვლევითი თემის/საკითხის და არსებული ცოდნის მიმოხილვა, კვლევის სიახლის დასაბუთება,

[1] საპროექტო განაცხადი შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს ინგლისურ ენაზეც.

[2] თანადაფინანსების შემთხვევაში, გთხოვთ საპროექტო განაცხადს თან დაურთოთ შესაბამისი აღწერილობა

კვლევითი პროექტის პრობლემის ფორმულირება. სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა - 800 სიტყვა)

კვლევის მიზნები და ამოცანები (ნათლად ჩამოყალიბებული, თანმიმდევრული და არგუმენტირებული კვლევის მიზნები და ამოცანები. სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა - 400 სიტყვა)

კვლევის მეთოდოლოგია (კვლევის ეტაპებისა და დიზაინის აღწერა - მიდგომა/თანმიმდევრულობა/თავისებურება; კვლევის მეთოდოლოგიის დასაბუთება და შესაბამისობა პროექტის მიზნებთან; მეთოდებთან დაკავშირებული შეზღუდვები და უპირატესობები. კვლევის განხორციელების ეტაპები და აქტივობები უნდა შეესაბამებოდეს პროექტის განხორციელების გეგმას, რომელიც წარმოადგენს საპროექტო წინადადების მნიშვნელოვან ნაწილს. სიტყვების რეკომენდებული მოცულობა 800 სიტყვა.)

კვლევის ეთიკისა და კეთილსინდისიერების სტანდარტებთან თავსებადობა (გთხოვთ შეავსოთ კვლევის ეთიკის კომიტეტში წარსადგენი განაცხადის შაბლონი კვლევითი/შემოქმედებითი პროექტის/გეგმის ეთიკური შეფასების მოთხოვნის შესახებ - დანართი #4): [3]

ინფორმაცია იმის შესახებ, იყო ან ხომ არ არის კვლევის პროექტი წარდგენილი განსახილველად და დასამატკიცებლად ეთიკის სხვა კომიტეტებზე, როგორი იყო წარდგენის შედეგი და რა სახის ცვლილებები შევიდა კვლევის პროექტში/გეგმაში ამ დასკვნის მიღების შემდეგ.	▪ წარმოდგენილი კვლევის პროექტი არ ყოფილა/არ არის წარდგენილი განსახილველად და დასამატკიცებლად ეთიკის სხვა კომიტეტებზე ▪ დადებითი პასუხის შემთხვევაში, გთხოვთ, დააკონკრეტოთ მოთხოვნილი ინფორმაცია
კვლევაში სამიზნე ჯგუფის წარმომადგენელთა მონაწილეობის აუცილებლობის დასაბუთება; კვლევის მონაწილედ ჩართვისა და გამორიცხვის კრიტერიუმები; შერჩევის მეთოდი, ასეთის საჭიროებისას; კვლევის ტიპი: ღია, ერთმაგი ბრმა ან ორმაგი ბრმა; კვლევის მონაწილეთა შერჩევისა და მოწვევის პროცედურები; საკონტროლო ჯგუფის გამოყენების ან არგამოყენების მიზეზები; საკონტროლო ჯგუფისთვის გამოყენებული ჩარევა.	
კვლევაში მონაწილეობასთან დაკავშირებული მოსალოდნელი რისკის ხასიათისა და ხარისხის აღწერა; დაგეგმილი ინტერვენციის ხასიათი, მოცულობა და ხანგრძლივობა, აგრეთვე, კვლევაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ნებისმიერი სირთულე თუ უხერხულობა; გაუთვალისწინებელ გარმოებებზე დაკვირვების, შეფასებისა და მათზე რეაგირების ღონისძიებები, თუ ამ გარემოებებს შეიძლება მოჰყვეს მნიშვნელოვანი შედეგები	

[3] გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული მოთხოვნა, ახალია და საგრანტო განაცხადებს დაემატა 2025 წლიდან, მას შემდეგ რაც ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში კვლევის ეთიკის კომიტეტი შეიქმნა "კვლევის პასუხისმგებლობიანად წარმართვა – კვლევის კეთილსინდისიერება და ეთიკა ქართულ უნივერსიტეტებში" (ETHICS) პროექტის ფარგლებში, გთხოვთ, ამ მოთხოვნას მიაქციოთ განსაკუთრებული ყურადღება და არ გამოგრჩეთ წარმოსადგენი დოკუმენტაციისას.

კვლევაში მონაწილე პირების და/ან კვლევასთან დაკავშირებული სხვა პირების იმჟამინდელი ან მომავალი ჯანმრთელობისთვის.	
კვლევაში მონაწილეთათვის შეთავაზებული ინფორმაციის აღწერილობა, მიწოდების დრო და, აგრეთვე, მეთოდები; დოკუმენტაცია და ნებისმიერი ვიზუალური თუ სხვა მასალა, რომელიც თანხმობის ან ნებართვის (როცა პირს არა აქვს თანხმობის გაცხადების უნარი) მისაღებად იქნება გამოყენებული, მათ მათ შორის: ინფორმირებული თანხმობის ფორმა; კვლევის სუბიექტისათვის და/ან მისი კანონიერი წარმომადგენლისათვის მისაწოდებელი ინფორმაციის ამსახველი ბროშურები, საინფორმაციო ფურცლები თუ სხვა მასალები, ასეთის არსებობის შემთხვევაში.	
კვლევაში მონაწილეთა პირადი ცხოვრების დაცვისა და პერსონალური მონაცემების კონფიდენციალურობის უზრუნველმყოფი ღონისძიებები; როგორ მოხდება კვლევის პროცესში მიღებული ინფორმაციის გამოყენება, რომელიც შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს კვლევაში მონაწილე პირების და მათი ოჯახის წევრების იმჟამინდელი ან მომავალი ჯანმრთელობისა და ემოციური კეთილდღეობისთვის.	
კვლევის განხორციელების თაობაზე სხვა დამატებითი ინფორმაცია[4], მათ შორის: კვლევის ჩატარებისთვის აუცილებელი საშუალებების, აღჭურვილობის აღწერა, საჭიროების შემთხვევაში; კვლევაში მონაწილეობისთვის დაწესებული ნებისმიერი ანაზღაურების და წახალისების დეტალები; ყველა იმ გარემოების აღწერა, რომელმაც შეიძლება ინტერესთა კონფლიქტი გამოიწვიოს და ხელი შეუშალოს მკლევართა დამოუკიდებელ მსჯელობას, მათ შორის, კვლევის სუბიექტების ჯანმრთელობასა და ემოციურ კეთილდღეობაზე ზრუნვას; კვლევის შედეგების, კვლევის პროცესში მიღებული სხვა მონაცემების შესაძლო სამომავლო გამოყენებასთან, მათ შორის, კომერციული მიზნით გამოყენებასთან დაკავშირებული ინფორმაცია; მკვლევართა აზრით მნიშვნელოვანი ყველა სხვა ეთიკური საკითხის აღწერა; კვლევაში მონაწილეობის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურებისთვის გამიზნული ნებისმიერი დაზღვევისა თუ კომპენსაციის დეტალები.	

[4] კვლევის ეთიკის კომიტეტს უფლებამოსილია მოითხოვოს ნებისმიერი სხვა დამატებითი ინფორმაცია, რომელიც კვლევის პროექტის ეთიკური შეფასებისთვის არის აუცილებელი.

კვლევის მოსალოდნელი შედეგების სამეცნიერო ღირებულება და კვლევის შედეგების პოტენციური პრაქტიკული გამოყენებადობა (დაასაბუთეთ, რა გამოწვევების გადაჭრაზეა ორიენტირებული კვლევითი პროექტი, კვლევის შედეგების მნიშვნელობა ქვეყნის, რეგიონის ან მსოფლიოსათვის და პოტენციური გავლენა დარგსა და ფართო საზოგადოებაზე;

მიღწეული შედეგების გავრცელების გეგმა და გზები (*კვლევის პუბლიკაცია ადგილობრივ ან საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალში/ მონოგრაფიის სახით, კვლევის წარდგენა ადგილობრივ ან საერთაშორისო კონფერენციაზე/ კვლევის შედეგების საჯარო განხილვა/დებატები*). სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა - 400 სიტყვა.) სავალდებულოა მოუთითოთ, პროექტით გათვალისწინებული კვლევის მასალებზე დაყრდნობით შესრულებელ სამეცნიერო ნაშრომის როგორი ტიპის ჟურნალში/კრებულში/საკონფერენციო მასალებში გამოქვეყნებას აპირებთ.

პროექტის განხორციელების სტრატეგია და გეგმა (თვე) (პროექტის მიზნებისა და ამოცანების მიღწევის მიზნით, გთხოვთ აქ მოკლედ აღწეროთ, ხოლო დანართში # 1 - პროექტის განხორციელების გეგმის სახით დეტალურად გაწეროთ სამოქმედო გეგმა და განხორციელების განრიგი (თვეების მიხედვით).

2. კვლევითი პროექტის გუნდი

პროექტში ჩართულ პირთა სამეცნიერო პროდუქტიულობა და მისი შესაბამისობის დასაბუთება პროექტის მიზნებთან (სტატიები, მონაწილეობა ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში, მონაწილეობა სამეცნიერო-კვლევით პროექტებში) (სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა - 400 სიტყვა.)

პროექტში ჩართულ სტუდენტთა პროფესიული და სამეცნიერო განვითარების შესაძლებლობების აღწერა და შესაბამისობის დასაბუთება პროექტის მიზნებთან (სტატიები, მონაწილეობა ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში, მონაწილეობა სამეცნიერო-კვლევით პროექტებში)

შენიშვნა: გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ პროექტის განხორციელების გეგმა (დანართი #1), პროექტის ბიუჯეტი (დანართი 2), ისევე როგორც პროექტში ჩართულ პირთა ბიოგრაფიული მონაცემები (CV) (დანართი #3) წარმოადგენს პროექტის მნიშვნელოვან ნაწილს და იგზავნება დათქმულ დრომდე საგანაცხადო ფორმასთან ერთად ერთიანი PDF დოკუმენტის სახით შემდეგ ელექტრონულ მისამართზე - Research@gipa.ge **და nana.macharashvili@gipa.ge, n.mindiashvili@gipa.ge**

- დანართი # 1- პროექტის განხორციელების გეგმა
- დანართი # 2 - პროექტის ბიუჯეტის ფორმა
- დანართი # 3 - ბიოგრაფიული მონაცემები - მოიცავს პროექტში ჩართული თითოეული მონაწილის შესახებ დეტალურ ბიოგრაფიულ მონაცემებს (CV)

დანართი # 1- პროექტის განხორციელების გეგმა[5]

			პროექტის განხორციელების გეგმა[6]												შესრულების ინდიკატორები
	ამოცანის დასახელება	**გასახორციელებელი სამუშაოების აღწერა**	1 თვე	2 თვე	3 თვე	4 თვე	5 თვე	6 თვე	7 თვე	8 თვე	9 თვე	10 თვე	11 თვე	12 თვე	
1	**ამოცანა**	**ამოცანის შესაბამისი აქტივობა**													
		1.1.													
		1.2													
		1.3													
2	**ამოცანა**	**ამოცანის შესაბამისი აქტივობა**													
		2.1.													
		2.2													
		2.3													
3	**ამოცანა**	**ამოცანის შესაბამისი აქტივობა**													
		3.1.													
		3.2													
		3.3													
4	**პროექტის შედეგების წარდგენა**	**ამოცანის შესაბამისი აქტივობა**													
		4.1.													
		4.2													
		4.3													
5	**ანგარიშის მომზადება**														
		5.1. შუალედური ანგარიშის მომზადება და სამეციერო დეპარტამენტისთვის წარდგენა													
		5.2 საბოლოო ანგარიშის მომზადება და სამეციერო დეპარტამენტისთვის წარდგენა													

[5] *პროექტის განხორციელების ვადები არ უნდა აღემატებოდეს 12 თვეს. შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში დაამატეთ ან წაშალეთ ველები. ვადები შესაძლებელია ასევე გაიწეროს კვარტალურად.*

[6] *სასურველია, რომ გეგმა გაიწეროს დეტალურად. ასე მაგალითად, თუკი საუბარია რაოდენობრივ კვლევაზე ის, მაგალითად, ჩაიშალოს შედეგი აქტივობების სახით: შერჩევა რაოდენობრივი კვლევისთვის, კვლევის ინსტრუმენტის მომზადება, ბეჭდვა, რესპონდენტთა გამოკითხვა, ველის მონიტორინგი, მონაცემთა ბაზის მომზადება და ანალიზი ა.შ. ან ფოკუს-ჯგუფის შემთხვევაში კი, ასევე მაგალითის სახით, დაზუსტდეს შემდეგი აქტივობების დონეზე: სადისკუსიო გეგმის მომზადება, რესპონდენტთა რეკრუტირება, დარბაზის დაქირავება, მკვევართა მგზავრობა და განთავსება, ფოკუს-ჯგუფის ჩატარება, ტრანსკრიპტის მომზადება და ანალიზი.*

დანართი # 2 - პროექტის ბიუჯეტის ფორმა[7]

ხარჯვის კატეგორია	ერთეულის ტიპი	ერთეულის ფასი	ერთეულის რაოდენობა	ჯამური ღირებულება
ანაზღაურება [8]				
აკადემიური პერსონალი				
ადმინისტრაციული პერსონალი				
დამხმარე პერსონალი [9]				
კვლევის განხორციელების დანახარჯები				
ფოკუს-ჯგუფი, ინტერვიუ, რაოდენობრივი კვლევა და სხვა[10]				
მივლინება				
მგზავრობის ხარჯი				
მივლინების დღიური ნორმისა და საცხოვრებელი ხარჯი				
საქონლისა და მომსახურების შესყიდვა				
ინვენტარის/ტექნიკის და საკანცელარიო ნივთების შეძენა				
სტატისტიკური და სხვა სახის ინფორმაციის/ ლიტერატურის შესყიდვა				
პროექტის შედეგების გავრცელება				
თარგმანი				
რედაქტირება				
საჯარო განხილვის/დებატების ორგანიზება				
სტატიის სამეცნიერო ჟურნალში გამოქვეყნების ხარჯები (საჭიროების შემთხვევაში)				
კვლევით გათვალისწინებული სხვა აქტივობები				
სულ				

[7] *აღიშნული ფორმა წარმოადგენს მაგალითს და გამოიყენება კვლევითი პროექტის აქტივობებიდან გამომდინარე. შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში დაამატეთ ან წაშალეთ ველები.*

[8] *პროექტის მონაწილე აკადემიური, ადმინისტრაციული და სხვა პერსონალის ჯამური ანაზღაურება არ უნდა აღემატებოდეს პროექტის ბიუჯეტის 40%-ს.*

[9] *დამხმარე პერსონალის სახით შესაძლებელია განიხილული იყოს სტუდენტი/ები, რომელთა მიერ გაწეული შრომა ანაზღაურებადი შესაძლებელია იყოს ან სახელფასო ანაზღაურების ან კვლევის მეთოდების ხარჯების ნაწილში. მნიშვნელოვანია, რომ არ ხდებოდეს ხარჯების განმეორება.*

[10] *სასურველია ხარჯების ჩვენება გამოყენებული მეთოდების მიხედვით ცალ-ცალკე*

დანართი # 3 - ბიოგრაფიული მონაცემები - მოიცავს პროექტში ჩართული თითოეული მონაწილის შესახებ დეტალურ ბიოგრაფიულ მონაცემებს (CV)

დანართი #4: კვლევის ეთიკის კომიტეტში წარსადგენი განაცხადის შაბლონი კვლევითი/შემოქმედებითი პროექტის/გეგმის ეთიკური შეფასების მოთხოვნის შესახებ

ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის კვლევის ეთიკის კომიტეტი
განაცხადი კვლევით-შემოქმედებითი პროექტის განხილვის შესახებ

გთხოვთ, კვლევის ეთიკის კომიტეტზე განიხილოთ წარმოდგენილი კვლევითი/შემოქმედებითი პროექტის ----------

---

---კვლევის ეთიკისა და კეთილსინდისიერების ასპექტები და გასცეთ შესაბამისი დასკვნა.

კვლევის ავტორ(ებ)ი ----------

კვლევის ხელ(ებ)ი ----------

კვლევის დამგეგმავი ინსტიტუცია/ები: ----------

განმახორციელებლები ----------

კვლევის სპონსორი ----------

საკონტაქტო პირი ----------

განაცხადის ავტორი ---------- თარიღი ----------